

## კ ა ვ კ ა ს ი ა

რას ვხედავ უზარ-მაზარსაჲ  
შავსცქერი დადუმებული.  
ცას ესწორება თხემებით  
მთა, მთაზედ აკიდებულის  
აქ ლოდი, სიპი, პიტალო  
სატანას მოუთრევია,  
კაჟი, ქვა, ქარწბი, კირკალი  
შეუძრავს, შეურყევია.  
ასვრილა მიწა კენჭებში  
და გოხის მონანგრევია,  
ესენი ნუ თუ ჯოჯოხეთს  
ურთ-ერთში აურევია  
მთა-მთაზე, გორა-გორაზე  
შეუსვავს, დაუკვერცხია,  
მზეს უხრავს მათი გვერდები,  
ნიაღვარს ჩაურევცხია  
მოჰსხმით ნაძვის ძაგარი,  
სპეტაკის ჩადრით მოსილან.  
მათი ხევ-ხუვი ღრადონიც,  
ვეჭვ, ქარ-გრიგალმა მოჰსილა  
აგია კავკასიის მთა,  
ტურფა და დიდებულია.  
ვაქო, ვით ვაქო, რომ ენა  
ოცნებისაგან ბმულიაჲ!  
ეს საოცრება რამ შეჰქმნაჲ  
ამართა ვისმა ძალამაჲ  
ცას ვინ ამოყვრა ვეშაპი,  
ან წარღვნამ რად არ წალამაჲ..  
ქედს ვუხრი კავკასიასა,  
დიდებულს - ჩემგნით დიდება  
ქედს ვუხრი, რადგან სულს და გულს  
თავისკენ მიეზიდება  
უმზირეთ კავკასის მთანი  
ცის კამარასა სწვდებიან,  
ყინვარის ჯავშნით მოსილნი,  
ბარს დანთქმას ემუქრიბიან!  
ახლავან ორბნი, არწივნი,  
ჯიხვებიც ეხიზნებიან,  
და ხშირად შავნი ღრუბელნი

მოჰბურვენ, ესტუმრებიან:  
მაშინ ელვანი მრისხანედ  
გრგვინვენ და იკლავნიბიან,  
მათ ჭექა-ქუხილს კლდე-ღრენიც  
საზარლად ეძრახებიან  
ინათებს, დილის მზის სხივზე  
ღრუბლები აიყრებიან,  
აქ დაბერტყავენ კალთებსა:  
თვალ-მარგალიტი ჰკრთებიან!  
შეჰყურებ, თხემნი კავკასის  
ისევ სპეტაკად ჩნდებიან  
და მედიდურნი, ტურფანი  
ლაჟვარდს ცას ებჯინებიან

1886 წ.